პრეტენდენტებმა დაკარგეს თითო ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 6 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “დინამო” (კიევი) 1:1 (1:1).

კიევი: ბანიკოვი, შჩერბაკოვი, შჩეგოლკოვი, სუჩკოვი, ვოინოვი, ტურიანჩიკი, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, კანევსკი, ბიბა, ლობანოვსკი.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, პეტრიაშვილი, მესხი (გ. სიჭინავა).

მსაჯი ა. კაზაკოვი (მოსკოვი).

გუშინდელ მატჩში არც კიევის, არც თბილისის გუნდისათვის ამოცანას არ წარმოადგენდა, რომ დაცვის ძირითადი საზრუნავი მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგი იქნებოდა. ამიტომ მთავარი ყურადღება გამახვილებული იქნა მესხისა და ლობანოვსკის მიმართ, მაგრამ თუ ლობანოვსკი თავიდანვე აქტიურად ჩაება თამაშში და შეუდგა ლიდერის როლის შესრულებას, მესხი აშკარად არ ჩანდა ფორმაში და გადაღლილად, მოქანცულად გამოიყურებოდა. ეს ძალზე დაეტყო თამაშს და, გარდა ამისა, სტუმრების მარჯვენა გარემარბი ბაზილევიჩი გაცილებით უფრო ეფექტურად და ნაყოფიერად მოქმედებდა, ვიდრე მისი თბილისელი კოლეგა დათუნაშვილი. ამ უპირატესობამ ფლანგებზე გარკვეული დაღი დაამჩნია მთელ პირველ ტაიმს და, მართალია, ბ. სიჭინავა და ზეინკლიშვილი კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს, კიეველებს უკეთ მიჰყავდათ თამაში თავდასხმაში, შეტევასაც უფრო დასრულებული სახე ჰქონდა.

პირველი გოლის ავტორები სწორედ კიეველთა გარემარბები იყვნენ. ლობანოვსკიმ ტექნიკურად საუკეთესოდ დამუშავებული მოჭრილი ბურთების მთელი სერია მიაწოდა კართან, რომელთაგან ერთ-ერთი ზუსტი თავური დარტყმით დაამთავრა ბაზილევიჩმა _ 1:0.

გავიდა რამდენიმე წუთი და ანგარიში გათანაბრებულ იქნა: მარჯვნიდან მიღებული ბურთი კალოევმა თავით გაგზავნა კარისაკენ. მისი მოგერიება სცადა შჩეგოლკოვმა, მაგრამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი _ 1:1.

მეორე ტაიმში, მას შემდეგ, რაც მესხის ნაცვლად მინდორზე გ. სიჭინავა გამოვიდა, ინიციატივამ თბილისელთა მხარეს გადაინაცვლა, მაგრამ არც გ. სიჭინავა, არც ბარქაია არ ჩერდებოდნენ მარჯვენა ფრთაზე (დათუნაშვილი მარცხნივ იქნა გადაყვანილი), განუწყვეტლივ შედიოდნენ ცენტრში და ავიწროებდნენ შეტევის ფრონტს. ეს შეჯგუფება საჯარიმო მოედანზე საგრძნობლად უადვილებდა საქმეს სტუმართა დაცვას. რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს კალოევმა, ბარქაიამ, ხოლო დათუნაშვილმა მატჩის დასასრულს უაღრესად ხელსაყრელ ვითარებაში მიიღო ბარქაიას გადაცემა, მაგრამ ვერ მოახერხა მისი გამოყენება. საბოლოოდ, თბილისელებმა ვერ შეძლეს თავიანთი ტერიტორიული უპირატესობის რეალიზაცია და დასჯერდნენ ფრეს _ 1:1.

ამ მატჩში ჟურნალ “ცისკრის” რედაქციის მიერ დანიშნული იყო ორი პირზი საუკეთესო მცველისა და თავდამსხმელისათვის. ისინი შესაბამისად გადაეცა გ. ჩოხელსა და ვ. ლობანოვსკის.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 11 ნოემბერი 1962 წ.